

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №9**

09.08.2016

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:**

ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი; სხდომის მდივანი;
გიორგი გიგინეიძე - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.
**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:**

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედი:
ცოტნე გველესიანი - დირექტორი;
მაკა ტუკვაძე - ხარისხის მენეჯერი;
ლაშა მკურნალიძე - ნდობით აღჭურვილი პირი.

შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზია:
ბესიკ ნიპარიშვილი - დირექტორი;
ნინო ნიპარიშვილი - კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი.

შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი სადუნი:

მარიამ ცინცაძე - დირექტორი.

შპს სკოლა ჩირაღდანი:

დავით კაპანაძე - დირექტორი.

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი:

მარინე დეკანოიძე - დირექტორი.

შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების სკოლა ნინო:

ნათია ქაჯაია - იურისტი;

ავთანდილ ლომსიანიძე - დირექტორის მოადგილე;

ნინო ქოქიაური - ფინანსური მენეჯერი.

შპს სკოლა-გიმნაზია პირველი:

ნინო ოქროჯანაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი;

მანანა ბაკურაძე - დაწესებულების წარმომადგენელი;

იზაბელა ცუხიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი.

შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილი:

ირმა კიკვაძე - დირექტორის მოადგილე;

ნინო ჩივაძე - აღმასრულებელი დირექტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

დავით ჭეიშვილი;

ლენა გომართელი;

ნელი ნასყიდაშვილი;

ლელა ბუბაშვილი;

ნინო ფეტვიაშვილი;

მაია ბოჭორიშვილი;

ნოდარ ანგურიძე;

მანანა ალიბეგაშვილი;

ქეთევან რეხვიაშვილი;

თეა შაყულაშვილი;

თამარ ამზაშვილი;

ნინო ბალანჩივაძე;

ნინო გვარამაძე;

გიორგი ლასხიშვილი;

მაკა ტუკვაძე.

სხდომა 16:20 საათზე დაიწყო. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა რევაზ აფხაზავას.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი სადუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სკოლა ჩირაღდნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს სკოლა-გიმნაზია პირველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დავით ჭეიშვილმა და ლენა გომართელმა წარმოადგინეს:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

სკოლის მისია ძალიან ზოგადი იყო და არ იძლეოდა კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების იდენტიფიცირების საშუალებას. უფრო მეტად სკოლის ხედვას შეესაბამებოდა. სკოლის დირექტორს მისია დამტკიცებული ჰქონდა, როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტი სკოლის დირექტორის 2015 წლის 3 სექტემბრის №1009/01 ბრძანებით, ასევე ჩაწერილი ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმაშიც.

სასკოლო სასწავლო გეგმის პირველი გვერდზე ეწერა, რომ შეთანხმებული იყო პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 27 აგვისტოს №1 ოქმით. ამით დარღვეული იყო საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 46-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. ამასთან, აღნიშნული საკითხი არ ფიქსირდებოდა პედაგოგიური საბჭოს შესაბამის ოქმში. სკოლა „იმედი“-ს დებულების 5.2. პუნქტის მიხედვით, სკოლის მართვის ორგანოს წარმოადგენდა სკოლის დირექტორი, ის ამტკიცებდა სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებს (5.5.2.), სკოლის დირექტორი წარმოადგენდა სკოლის ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს (5.5.3), პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები ხორციელდებოდა სკოლის დირექტორის ბრძანებით (5.5.10), პედაგოგიური საბჭო სკოლის დირექტორის თავმჯდომარეობით ამტკიცებდა სასკოლო სასწავლო გეგმებს (5.5.11). აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 35-ე მუხლს.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება: სსგ-ის 7.1. და 7.6 მუხლებში ეწერა, რომ ზოგად უნარებსა და რელიგიის ისტორიაში იწერებოდა „ჩათვლა/არჩათვლა“. აღნიშნული საგნები ნახსენები არ იყო საათობრივ ბადეში და ესგ-ს მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით არ არსებობდა საჭირო დოკუმენტაცია. ასევე დარღვეული იყო ესგ-ს მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი. 2015-2016 სასწავლო წლისთვის მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ ეწერა, თუ რომელ საგანს ასწავლიდა მასწავლებელი, ამიტომ, გაუგებარი იყო საერთოდ ისწავლება თუ არა ზოგადი უნარები და რელიგიის ისტორია. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ეს საგნები გასულ წელს ისწავლებოდა და ტექნიკური ხარვეზის გამო გაჩნდა მოქმედ სსგ-ში. აღნიშნული საგნების სწავლება არ ფიქსირდებოდა საკლასო ჟურნალებში. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში კი დაკონკრეტებული არ იყო, რომელი საგნის მასწავლებელს წარმოადგენდა.

საათობრივი ბადე: შემთხვევითი პრინციპით eschool-ის ბაზიდან ექსპერტებმა შეარჩიეს რამდენიმე მასწავლებელი და შეადარეს სსგ-ში მოცემულ საათობრივ ბადეს. გამოიკვეთა, რომ უმრავლეს შემთხვევაში სკოლის ბაზაში არსებული მონაცემები არ ემთხვეოდა სსგ-ის მონაცემებს. ამასთან, სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული სკოლის საათობრივი ბადე არ აკმაყოფილებდა ეროვნული სასწავლო გეგმის მე-13 მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მე-12 კლასში არჩევით საგნად შემოღებული იყო საგანი „ფოლკლორი და მითოლოგია“. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, აღნიშნული საგანი იყო ერთმოდულიანი და უნდა ესწავლებინათ ორი სემესტრის განმავლობაში. წინა წელს, ანუ მე-11 კლასში კი ისწავლებოდა საგანი „მსოფლიო კულტურა“. ექსპერტების თქმით, სკოლას დარღვეული ჰქონდა „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 46-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა ზოგადი იყო, არ იყო დაკონკრეტებული საფეხურებისა და საგნების შესაბამისად. ამით დარღვეული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი. თუმცა დირექტორს ცალკე დოკუმენტებად ჰქონდა დამტკიცებული ბიბლიოთეკისა და სხვა რესურსებით სარგებლობის წესები, მაგრამ ისიც არასრულყოფილი სახით.

სახელმძღვანელოების არჩევა: სკოლის კათედრების ოქმებსა და პედაგოგიური საბჭოს ოქმში ფიქსირდებოდა გრიფირებული და დამატებითი სახელმძღვანელოების არჩევა. თუმცა არ ჩანდა, პარალელ კლასებში ერთი და იგივე სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა თუ არა. ამასთან, 1-6 კლასებში მათემატიკასა და ბუნებაში იყო წყვეტა, მე-4 კლასის ჩათვლით მათემატიკა ისწავლება ირინა რუხაძის ავტორობით, 5-6 კლასებში - გ. გოგიშვილის, თ. ვეფხვაძის ავტორობით „გამომცემლობა ინტელექტი“. მე-10 კლასში ქართული ენა და ლიტ-ა ისწავლება ვ. როდონიას... ავტორობით, გამომცემლობა „გაზეთი საქართველოს მაცნე“ და შპს „საგამომცემლო სახლი სწავლანი“. მე-11 და მე-12 კლასებში კი აღნიშნული საგნის სწავლება გრძელდებოდა სახელმძღვანელოთი, რომლის ავტორია ნ. მუზაშვილი, გამომცემლობა „დიოგენე“.

დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა: სასკოლო სასწავლო გეგმას თანდართული დოკუმენტის სახით არ ახლდა დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა. თუმცა აღნიშნული პროგრამები იდო დამრიგებლების საქალაქო დეპარტამენტში. სასკოლო სასწავლო გეგმის 5.3.-ის მიხედვით: „სკოლაში კლასს/კლასებს (მაქსიმუმ 20 მოსწავლე) ჰყავს კლასის დამრიგებელი, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლეებზე სასწავლო პროცესის განმავლობაში“. რამდენიმე შემთხვევაში, მასწავლებელი იყო ორი კლასის დამრიგებელი, მაგ.: I-IV, I-III, IV-V, XI¹-XI² კითხვის ნიშანს ბადებდა, როგორ უნდა მოეხერხებინა პირველი კლასის დამრიგებელს პარალელურად გაენაწილებინა ფუნქციები მე-5 კლასზეც, მაშინ როცა სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობდა. იყო ასევე შემთხვევები, როცა კლასში სწავლობდა 20 მოსწავლეზე მეტი: VIII², XI², XII¹ და დარღვეული სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნაც.

სასკოლო სასწავლო გეგმის 7.6 მუხლის პირველ პუნქტში ეწერა, რომ კლასის და საფეხურის დაძლევის ბარიერად სკოლაში დადგენილი იყო 6.0 და აღწერილი იყო პროცედურები ბარიერის გადაულახობის შემთხვევაში. მართალია, ეროვნული სასწავლო გეგმის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კერძო სკოლას ჰქონდა უფლება, დაედგინა განსაზღვრებული ბარიერი, თუ ის რომელიმე საგანს/საგნებს ასწავლიდა გაძლიერებულად. სკოლა „იმედის“ სასწავლო გეგმაში კი რომელიმე საგნის გაძლიერებულად სწავლაზე კი არაფერი იყო ნათქვამი. სასკოლო სასწავლო გეგმის 7.6. მუხლი ეწინააღმდეგებოდა ესგ-ს მე-14 მუხლის მე-4 პუნქტს: „საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე

საჯარო სკოლებსა და კერძო სკოლებს უფლება აქვთ დაადგინონ გადლიერებული სწავლების საგნის/საგნების დაძლევის ბარიერი, მაგრამ არანაკლებ ამ ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ბარიერისა“.

სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო მინიშნებული, რა შემთხვევაში ინიშნებოდა საშემოდგომო გამოცდა. თუმცა შინაგანაწესში არსებობდა ჩანაწერი, რომ „საშემოდგომო გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ კონკრეტულ საგანში/საგნებში ვერ გადალახა სკოლის მიერ განსაზღვრული ბარიერი“ (გვ. 14) (დანართი №2 სამ ფურცლად).

ექსპერტების აზრით, საყურადღებო იყო, რომ შემაჯამებელ სამუშაოთა ძირითადი ტიპს წარმოადგენდა ტესტი, ანუ მასწავლებლები არ იყენებდნენ შემაჯამებელი სამუშაოს სხვადასხვა ფორმას. ამით დარღვეული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. მასწავლებლები ძირითადად შემოიფარგლებიან განმსაზღვრელი შეფასებებით. განმავითარებელი შეფასებების ნიმუშები კი წარმოდგენილი იყო თითოეულ მოსწავლეზე სემესტრული და წლიური კომენტარების სახით.

მასწავლებლების საქაღალდეებში მოთავსებული არ იყო მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს ნიმუშები ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; ამით დარღვეული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

მოსწავლეთა პირადი საქმეები: შემთხვევითი შერჩევით შერჩეული პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ პირადი საქმეების უმეტესი ნაწილი არ შეესაბამებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 06 იანვრის №6 და 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ფორმას. ასევე, პირად საქმეებში იდო მოსწავლეთა დაბადების მოწმობების ორიგინალები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

სკოლაში დაწყებით საფეხურზე ისწავლებოდა კარატე და ჭადრაკი, საბაზო-საშუალოზე კი - კარატე, ჭადრაკი და სპორტული ტანვარჯიში. სპორტის თემატური გეგმების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სწავლების ყველა საფეხურზე თემატიკა, აქტივობები, სტრატეგიები ერთი და იგივეა იყო.

სკოლის დებულება დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით №1009/2, 03.09.2015წ. დებულების მიხედვით სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი იყო ცოტნე გველესიანი. დებულების მიხედვით, სკოლა ვალდებული იყო - „უზრუნველყოს სკოლის თანამშრომლებისათვის უსაფრთხო სამუშაო პირობები“. მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები კი ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ მოთხოვნას: მაგალითად, ხელშეკრულების 1.10 პუნქტში ეწერა, რომ პედაგოგს შეიძლება შრომითი ხელშეკრულება შეწყდომოდეს „მისი სადამრიგებლო კლასიდან 3 და მეტი მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის გამო“, „თუ პედაგოგმა ვერ დაძლია დირექციის მიერ დანიშნული პროფესიული დონის გადასამოწმებელი ტესტირება ან უკეთ დაძლია სხვა კონკურენტმა - პედაგოგობის მაძიებელმა. დებულების 5.2. მუხლის მიხედვით სკოლის მართვის ორგანოს წარმოადგენდა სკოლის დირექტორი, ის ამტკიცებდა სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ შიდა/ლოკალურ დოკუმენტებს (5.5.2.), სკოლის დირექტორი წარმოადგენდა სკოლის ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს (5.5.3), პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები ხორციელდებოდა სკოლის დირექტორის ბრძანებით (5.5.10), პედაგოგიური საბჭოს სკოლის დირექტორის თავმჯდომარეობით ამტკიცებდა სასკოლო სასწავლო გეგმებს (5.5.11), 5.4 მუხლში ეწერა, რომ დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნებოდა სკოლის შინაგანაწესისა და დებულების

დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა. აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 35-ე მუხლს.

სკოლა ჩართული იყო „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლის დებულების 6.2. პუნქტში კი ეწერა, რომ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, თანამშრომელთა სამსახურში მიღება სკოლის დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. დებულებაში არ იყო გაწერილი მასწავლებლის სკოლაში მიღების პროცედურები. ეს ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №68 დადგენილების მე-4 თავს.

დებულების 6.3. მუხლში ეწერა, რომ „...შრომითი ხელშეკრულებით კონტრაქტის პირობები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსს“. გასული და მომდევნო სასწავლო წლის შრომით ხელშეკრულებებში კი სკოლას დარღვეული ჰქონდა შრომის კოდექსის მოთხოვნები: შვებულების მიცემის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები. ეს ეწინააღმდეგებოდა შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტს.

სკოლის დებულების 6.5. მუხლში ეწერა, რომ მასწავლებელი არ შეიძლება ყოფილიყო ნასამართლეობის მქონე პირი. თუმცა მათ პირად საქმეებში აღნიშნული დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ ინახებოდა..

შინაგანაწესის სტრუქტურა წინააღმდეგობაში მოდიოდა შრომის კოდექსის მე-13 მუხლთან, კერძოდ, სკოლის შინაგანაწესში არ იყო მითითებული: შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. სკოლის შინაგანაწესით კანცელარია მუშაობს 9:00-დან 16:15-მდე. არ იყო დადგენილი შესვენების ხანგრძლივობა. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი სამუშაო დრო ასევე ეწინააღმდეგებოდა შრომის კოდექსის მე-14 მუხლს. შინაგანაწესის მე-7 თავის პირველ მუხლში ჩამოთვლილი იყო პირველ კლასში მოსწავლეთა ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ , კერძოდ, სკოლა ითხოვდა ბავშვის დაბადების მოწმობის დედას. შინაგანაწესის 2.2 მუხლში ჩამოთვლილი სამუშაოზე მიღებისას წარსადგენი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი, კერძოდ, მასწავლებლის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციაში არ იყო ნახსენები ცნობა ნასამართლეობის შესახებ. ეს ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 21-ე მუხლის 1² პუნქტს.

სტრატეგიული გეგმას აკლდა შემდეგი ძირითადი პუნქტები: სკოლის ხედვა, მისია, პრობლემებისა და საჭიროებების ანალიზი. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა გასული წლების ერთწლიანი გეგმები, რის გამოც ბუნდოვანი იყო გრძელვადიანი მიზნების შესრულება. თუმცა წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის უმეტესი ნაწილი შეესაბამებოდა სკოლის მისიას.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

შპს „აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედში“ სკოლის მასწავლებლები ძირითადად შერჩეულნი იყვნენ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა აღსანიშნავია ერთი გარემოება, რამდენიმე მასწავლებლის მიღებისას შექმნილი გაურკვევლობა მათ

კვალიფიკაციასთან მიმართებაში, კერძოდ: ბელა შალამბერიძეს, დიანა ხუბუტიას, ეკატერინე გოგოლაძეს, მანანა ბანძავას, ხალიანა ჭანტურიას, ლელა დოგრაშვილს და ლილე ქარსელაძე დიპლომების მიხედვით იყვნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრები ფილოლოგიაში და ასწავლიან ინგლისურ ენას. ასევე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში იყვნენ - ვარდო გელენიძე, თეონა ბურკაძე და ირინე ბუბაშვილი, მაგრამ ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციიდან არ ჩანდა, როგორ მიანიჭა სკოლამ მათ დასახელებული კვალიფიკაციები. აღნიშნული პედაგოგები სამსახურში მიღებულები იყვნენ 2015 წლიდან.

თამთა ანთაძე იყო ასირიოლოგი და ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. რაც ექსპერტებისთვის გაურკვეველი იყო.

სალომე ბაბუხადას დამთავრებული ჰქონდა კოლეჯი ექსპერტ კრიმინალისტიკის სპეციალობით და სკოლაში მიღებული იყო ისტორიის მასწავლებლად. ასევე იურისტი იყო სოფიო კლდიაშვილი, რომელიც ასწავლიდა ისტორიას.

დასახელებული შემთხვევები წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 21³ მუხლთან.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები, თუმცა მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იყო შეუსაბამოებები მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ: ხელშეკრულების 3.1.5. პუნქტის მიხედვით, დამსაქმებელს უფლება ჰქონდა გადაემოწმებინა დასაქმებულის ცოდნა, ჩაეტარებინა მისთვის თუ ვერ ჩააბარებდა, ხელშეკრულების 7.5.1. პუნქტის თანახმად, თავისუფლდებოდა სამსახურიდან. აღნიშნული მთლიანად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“.

დასაქმებული მასწავლებელი ხელშეკრულების 7.4.1. პუნქტის საფუძველზე თავისუფლდებოდა სამსახურიდან თუ მისი სადამრიგებლო კლასიდან სამი ან მეტი მოსწავლე გადავიდოდა სხვა სკოლაში, რაც ასევე წინააღმდეგობაში მოდიოდა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ხელშეკრულების 7.2.5. პუნქტის მიხედვით, მასწავლებელი თავისუფლდებოდა სამსახურიდან, თუ ის ავადმყოფობის გამო ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს გააცდენდა. აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსთან“. ისევე, როგორც ხელშეკრულების 6.1.2. პუნქტი, რომლითაც ანაზღაურების გარეშე შვებულების აღების შემთხვევაში დასაქმებული დამსაქმებელს 7 კალენდარული დღით ადრე აფრთხილებდა ნაცვლად კანონით დადგენილი 14 დღისა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ 2015 წლის დეკემბრამდე ის იყო საბჭოს წევრი, ივნისის შემდეგ ექსპერტი გახდა და სკოლასთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ადრიდანვე, ჩაატარა ტრენინგები და მისი ინტერესი იყო გამოსულიყო სკოლის ადვოკატის როლში. პირველ ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისია განხილული იყო კათედრებზე, დოკუმენტაცია უკვე არსებობდა და საბჭოს სხდომაზეც იყო გატანილი. სასწავლო გეგმასთან დაკავშირებითაც, აღნიშნა, რომ პედსაბჭოსთან შეთანხმებული იყო და დირექტორი მიიღებდა გადაწყვეტილებას. მან დაამატა, რომ სკოლა გადაწყვეტილებას იღებდა მეწარმეთა კანონის შესაბამისად, პედსაბჭო განიხილავდა და სკოლის დირექტორი ამტკიცებდა ბრძანებით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პედსაბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმა იქნებოდა უხარისხო, დირექტორს კი არ ექნებოდა

დამტკიცებული, ზიანი მოსწავლეს ადგებოდა და ყველა გადაწყვეტილებაზე კერძო სკოლაში პასუხისმგებელი ხდებოდა დირექტორი.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო სიღრმეებში ვერ ჩავიდოდა, უბრალოდ მხედველობაში უნდა მიეღოთ არსებული გარემოებები, თუ რა დონის დარღვევები ფიქსირდებოდა სკოლაში.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მართალია დირექტორი იყო პასუხისმგებელი გადაწყვეტილებებზე, მაგრამ პედსაბჭო დოკუმენტაციას დირექტორთან ერთად შეიმუშავებდა და ასეთი ხარვეზი არ უნდა დაფიქსირებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებაზე შენიშვნას ეთანხმებოდნენ და ამ ეტაპზე უკვე გასწორებული იყო შეუსაბამობა. დასახელებული საგნები არ ისწავლებოდა, ტექნიკურად იყო გადმოყოლილი წინა წლიდან ჩანაწერი.

სასწავლო ბადესთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა, ლაშა მკურნალიძემ განაცხადა, რომ სკოლაში 800-მდე მოსწავლე სწავლობდა, ბევრი მასწავლებელი დეკრეტულ შვებულებაში იყო გასული, ემისს აცნობეს ამის შესახებ, მაგრამ ასე ხშირად ვერ ხერხდებოდა ბაზების გახსნა-დახურვა.

საბჭოს წევრმა, ირინა ხანთაძემ ექსპერტებს კითხვით მიმართა, ბაზის ნახვის შემდეგ თუ გადაამოწმეს დოკუმენტურად, თუ შეამოწმეს საკადრო ფურცელი. დავით ჭეიშვილმა უპასუხა, რომ როდესაც მსგავსი ცვლილებები ხდებოდა, სასწავლო გეგმაშიც უნდა შესულიყო შესაბამისი ცვლილებები და ეს პროცედურა სკოლაში არ იყო დაცული.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო მკრებელობითი დოკუმენტი, არსებობდა სხვა დოკუმენტები, რითაც ზუსტდებოდა და ივსებოდა აღნიშნული ინფორმაცია. მან დაამატა, რომ ტექნიკურად იქნებოდა პრობლემა ასე ხშირად პედსაბჭოს მოწვევა.

საბჭოს წევრებმა არ გაიზიარეს მისი მოსაზრება და აღნიშნეს, რომ უფრო დიდკონტინგენტიანი სკოლები ახერხებდნენ ამ პრობლემის გადაჭრას.

ლაშა მკურნალიძემ განაცხადა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო სკოლაში. დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტაცია შინაარსობრივად არ იყო ერთმანეთთან თანხვედრაში.

საბჭოს ირინა ხანთაძე დაინტერესდა რა დროს მოიცავდა ცვლილება სასკოლო გეგმაში. ექსპერტმა, ლენა გომართელმა უპასუხა, რომ ცვლილებები არ იყო განხორციელებული მთელი წლის განმავლობაში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ არჩევითი საგნებით. ექსპერტმა, ლენა გომართელმა აღნიშნა, რომ მათ იკითხეს ვიზიტზე, რა ისწავლეს ბავშვებმა და პასუხად მიიღეს, რომ მსოფლიო კულტურა ისწავლებოდა, გამოდიოდა, რომ ერთი სემესტრი აკლდებოდათ ამ ბავშვებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჩათვლა/არ ჩათვლით აფასებდნენ. ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ეს დარღვევა იყო, რადგან ნიშნით უნდა შეფასებულიყო მოსწავლე.

სასწავლო მასალასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა, ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ ყველანაირი სასწავლო რესურსი ჰქონდა სკოლას. დავით ჭეიშვილმა დაადასტურა, რომ რესურსი იყო, უბრალოდ საფეხურების მიხედვით არ იყო გაწერილი.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კათედრაზე კლასების მიხედვით თუ იყო გამიჯვნა.

ლაშა მკურნალიძემ უპასუხა, რომ ასეთი დოკუმენტი არ არსებობდა, მაგრამ სკოლა უნდა განხილულიყო მთლიანობაში და სწორედ ამას გულისხმობდა მიზანზე ორიენტირებული შინაარსი.

ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, მან დაამატა, რომ საუბარი იყო არა დაფასა და ცარცზე, არამედ დამატებით სახელმძღვანელოებსა და სპეციფიკურ რესურსებზე.

საბჭოს წევრმა ირინა ხანთაძემ დაამატა, რომ ეს თემა სწორედ იმიტომ იყო გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით, რომ თვალსაჩინო ყოფილიყო საფეხურების მიერ გაწერილი რესურსები, რისი საშუალებაც ამ შემთხვევაში, არ იყო.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სპირალური სისტემა 6 წლიანი შედეგის მისაღწევად შემოვიდა, შესაბამისად, იგივე ავტორის მიხედვით უნდა გაეარათ მოსწავლეებს სახელმძღვანელოები და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ ჰქონდათ შეცვლილი წიგნები. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, მთლიანად ერთი პროგრამა უნდა ყოფილიყო, თუ დამატება სჭირდებოდათ შესაძლებელი იყო დამატებით შეეტანათ სხვა სახელმძღვანელოები.

საბჭოს წევრმა ირინა ხანთაძემ განაცხადა, რომ საბჭოს უფლებამოსილება არ იყო გამოძიება ჩაეტარებინა, ისინი განიხილავდნენ ექსპერტთა დასკვნას და რას მიიჩნევდნენ საკმარის საფუძვლად ავტორიზაციაზე უარის თქმისთვის, ეს საბჭოს გადასაწყვეტი იყო.

სადამრიგებლო პროგრამასთან დაკავშირებით, ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტის სუბიექტური შეფასება იყო, რადგან ესგ-ში არ ეწერა რამდენ კლასზე რამდენი დამრიგებელი უნდა ყოფილიყო.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე, დაინტერესდა დამრიგებლების პასუხისმგებლობებითა და მოვალებებით, როგორ ახორციელებდა ამდენ კლასთან ამხელა სამუშაოს.

ლაშა მკურნალიძემ უპასუხა, რომ ეს მენეჯმენტის საკითხს წარმოადგენდა, მან აღნიშნა, რომ მოსწავლეების ნაწილი აპრილისა და მაისის თვეში იყვნენ გადმოსულები, მეორე და მესამე საფეხურებზე და ეს იყო მიზეზი, 5 ბავშვის დამატების.

ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში დებულება უნდა შეცვლილიყო კანონთან შესაბამისად. რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, ეს არ წარმოადგენდა არსებით საკითხს.

მინიმალურ ბარიერთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა თუ რას მოიაზრებდნენ გაძლიერებულ სწავლებაში - რომ კლასები იყოფოდა და ინტენსიურად ამეცადინებდნენ მოსწავლეებს.

ირინა ხანთაძემ განაცხადა, რომ ეს სადმე უნდა ყოფილიყო გაწერილი. ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა დაადასტურა, რომ ამგვარი ჩანაწერი არსად შეხვდათ ექსპერტებს. ხათუნა ბარაბაძემაც დაამატა, რომ საათობრივ ბაღეშიც არ ჩანდა კლასების გაყოფის შესახებ ინფორმაცია.

ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, რა ტიპის დავალებებით იყო შედგენილი შემაჯამებელი ტესტი. ექსპერტმა, ლენა გომართელმა უპასუხა, რომ ტესტი დახურული კითხვებისგან შედგებოდა.

სკოლის წარმომადგენელმა, ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ სხვა ფორმებიც ჰქონდათ, მაგრამ ესგ-თი რაც იყო მოცემული, ყველას არ იყენებდნენ.

ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ შემაჯამებელში სავალდებულო იყო ორივენაირი შეფასება და ექსპერტებს ჰკითხა, თუ გაესაუბრნენ მასწავლებლებს. ამაზე დავით ჭეიშვილმა უპასუხა, რომ ინტერვიუების შესაძლებლობა არ ყოფილა.

ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ამის დამამტკიცებელი სხვადასხვა ვიზუალური მასალა.

პირად საქმეებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე უკვე გასწორებული იყო დოკუმენტაცია და ყველა რეკვიზიტს შეიცავდა, ხოლო რამდენიმე მასწავლებლის კვალიფიკაციის შეუსაბამობასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ უნივერსიტეტიდან გამოითხოვეს დოკუმენტები და გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებდნენ.

ექსპერტმა, ლენა გომართელმა აღნიშნა, რომ სწავლა რეალურად ძალიან კარგად მიმდინარეობდა, მხოლოდ დოკუმენტაციაში იყო პრობლემა, რაც მოგვარებადი იყო.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ ერთ კვირაში მოაგვარებდნენ ყველაფერს. მან დაამატა, რომ მისი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ სხვას მისცა უფლება გამოსულიყო საბჭოზე, დაეცვა პოზიციები და ეპასუხა მის ნაცვლად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ ყველა სტანდარტი სიღრმისეულად იყო შეფასებული და გაანალიზებული, ამასთან, აუცილებელი იყო დოკუმენტაციის მოწესრიგება. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელი იყო ცენტრის მოქმედი ექსპერტი და მოითხოვა, ოქმში დაფიქსირებულიყო, რომ მომავალში ყველა ექსპერტს გაეთვალისწინებინა, რომ წინასწარ ეცნობებინა ცენტრისთვის, როდესაც დაწესებულებასთან დაიწყებდა თანამშრომლობას და წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტებიც.

ლაშა მკურნალიძის თქმით, სანამ ექსპერტი გახდებოდა, მანამდე თანამშრომლობდა დაწესებულებასთან.

ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა პედაგოგებისთვის ტესტირების ჩატარების მიზეზებით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ მასწავლებლებს არ დაეკარგათ მოტივაცია და მუდმივად განვითარების რეჟიმში ყოფილიყვნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212698259) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 100-ით.

რ. 18

საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვის განმავლობაში, მონიტორინგი ჩატარებულიყო სკოლაში და გადამოწმებულიყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო თუ არა გამოსწორებული.

ნ. ა. მ.

2. შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნელი ნასყიდაშვილმა წარადგინა:

სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი საგნების, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაკვეთილების, წრეობრივი მუშაობის წარმოდგენილი გეგმები, გარდა სპორტის თემატური გეგმებისა, პასუხობდნენ შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდნენ მოსწავლეებს, შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

სპორტის სახეობებად საბაზო და საშუალო საფეხურებზე სკოლას არჩეული ჰქონდა მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და ფეხბურთი ან კალათბურთი. მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა სპორტის დარბაზში. ვიზიტის დროს სკოლის მიმდებარე ეზოში მიმდინარეობდა ღია მოედნის მოსაწყობად მოსამზადებელი სამუშაოები. სპორტის სწავლების გეგმები იყო დასახვეწი და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანი.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლა-გიმნაზიის წლიური გამოცდის დანიშვნა/ჩატარებაზე, სასკოლო სასწავლო გეგმაში იყო ჩანაწერი: „წლიური გამოცდები ინიშნება სასწავლებლის დირექტორის მიერ მაისის დასაწყისში დაწერილი ბრძანების საფუძველზე“, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 23² მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, წლიური გამოცდის დანიშვნა/არდანიშვნის საკითხს უნდა წყვეტდეს სკოლა, აღნიშნული კი ასახული უნდა ყოფილიყო სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული უნდა ყოფილიყო სასწავლო წლის დაწყებამდე, ე.ი. გამოცდებიც მაშინ უნდა დანიშნულიყო და განსაზღვრულიყო თუ რომელ კლასებში და რომელ საგნებში ინიშნებოდა წლიური გამოცდა.

ექსპერტის თქმით, ინტერვიუებით, პედსაბჭოს ოქმებით, საგამოცდო უწყისებითა და კლასის დამრიგებელთა მოხსენებით ბარათებით დადგინდა, რომ გამოცდები ჩატარდა დაწყებით საფეხურზეც, რაც ეწინააღმდეგებოდა იგივე მუხლის მესამე პუნქტს, რომლის მიხედვითაც, გამოცდები შესაძლოა დანიშნულიყო მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურზე.

ამავე, დროს სასკოლო სასწავლო გეგმაში ყურადღება არ იყო გამახვილებული იმავე მუხლის მეორე პუნქტზე: „2. სკოლას უფლება აქვს, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა იყოს 2-წლიანი შუალედი მაინც“.

ექსპერტმა დაამატა, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სკოლა-გიმნაზია საკუთარი რესურსებისა და მოსწავლეების ინტერესის გათვალისწინებით, სთავაზობდა სხვადასხვა

საგნის არჩევას. 2015-2016 სასწავლო წელს არჩეულ იქნა საგნები: მსოფლიო კულტურა (X კლასში) და ასტრონომია (XI კლასში). არჩევითი საგანი არ ისწავლებოდა მეთორმეტე კლასში, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და მე-17 მუხლის მე-4 პუნქტს. („X-XII კლასებში მოსწავლემ უნდა ისწავლოს არჩევითი საგნები 5 სემესტრის განმავლობაში“, „მოსწავლე ფასდება, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში“).

ინტერვიუებისას მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათი აზრით, მოსწავლეები ფასდებოდნენ იმის მიხედვით თუ როგორ სწავლობდნენ და რამდენად სისტემატურები იყვნენ, მათ არ უხსენებიათ შეფასების კრიტერიუმები. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით I-IV კლასებში ქულებით შეფასება არ ხდებოდა, თუმცა ინტერვიუებისას მშობლებმა თქვეს, რომ ქულებით ფასდებოდნენ მოსწავლეები, 10 ქულით მხოლოდ სიტყვიერად, რომ სკოდნოდათ რამდენად წარმატებით ჩააბარეს გამოცდა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება პრობლემას არ წარმოადგენდა, მე-12 კლასში არჩევითი საგნები არ ჰქონდათ. კარგი შედეგები იყო კატის და ეროვნულ გამოცდებზე. მოსწავლეები სამოქალაქო განათლების კონფერენციებშიც მონაწილეობდნენ. მან დაამატა, რომ მუზეუმის გახსნას გეგმავდნენ ნულოვან სართულზე. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 232539269) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწესებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280-ით.

საბჭოს წევრებმა დაწესებულებას განუცხადეს, რომ დაწესებულებას სასწავლო წლის დაწყებამდე ცენტრში უნდა წარმოედგინა გამოსწორებული დოკუმენტაცია.

3. შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი სადუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ფეტვიაშვილმა წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ ცენტრში სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო 2015-16 წლის სასწავლო გეგმა, თუმცა ვიზიტის დროს წარმოადგინეს 2016-17 წლის სასწავლო გეგმის პროექტი. დაწესებულებას ჰქონდა 657 მერხი და 30 კომპიუტერი, სკოლას ჰყავდა 1 სსმ მოსწავლე, ჰქონდათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მოხდა ფსიქოლოგთან გასაუბრება.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენი მასწავლებელი ჰყავდა სკოლას და თუ იყო ჩართული სქემაში. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლა იყო ჩართული სქემაში, ჰყავდა 53 მასწავლებელი, აქედან 17 უფროსი და ერთი წამყვანი მასწავლებელი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენი საკლასო ოთახი იყო სკოლაში, ექსპერტმა უპასუხა, რომ სკოლას 26 საკლასო ოთახი ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი სადუნისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 520-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი სადუნს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202063480) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 520-ით.

18:50 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

სხდომა განახლდა 19:10 საათზე.

4. შპს სკოლა ჩირაღდნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა რომ სკოლას ჰქონდა 13 საკლასო ოთახი, 134 ორადგილიანი და 79 ერთადგილიანი მერხი, 257 სკამი. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ორადგილიანი მერხების გადაკეთება ერთადგილიანებად. თუმცა, აუდიტის დასკვნით, სკოლას უდასტურდებოდა 210 ორადგილიანი და 39 ერთადგილიანი მერხი. 12 კომპიუტერი რომელთაგან 9 კომპიუტერულ კლასში იყო განთავსებული, 3 კი ადმინისტრაციის სკოლას ჰყავდა 29 პედაგოგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა უზუსტობა გამოსწორებული იყო, საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პროცედურის პროექტი აისახებოდა 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, ვებგვერდზე დამატებული იყო სკოლის მისამართი და ტელეფონი, უკვე გადაკეთებული იყო მერხები და დაიდო ახალი ხელშეკრულება, რის მიხედვითაც, სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლას ექნებოდა 253 ერთადგილიანი მერხი და 257 სკამი. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ჩირაღდნისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 253-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ჩირაღდანს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216342330) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 253-ით.

5. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნოდარ ანგურიძემ წარმოადგინა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა ფუნქციონირებდა თბილისსა და ზუგდიდში, ზუგდიდში მდებარე შენობა ეკუთვნოდა ფიზიკურ პირს და 400 კვ. მ. ფართი ჰქონდა იჯარით აღებული სკოლას. შენობის პირველი და მეორე სართულების გამოიყენა მოხდა ვიზიტის პერიოდში. ამავე შენობის მესამე სართულზე მდებარეობდა რადიო „ათინათის“, რომელიც შენობის მფლობელის დაფუძნებული იყო და აქტიურად ეხმარებოდა სკოლას სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობების განხორციელებაში. შენობაში იყო 6 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო 46 ერთადგილიანი, 8 ორადგილიანი მერხითა და 52 სკამით. გარდა ამისა, დასაწყობებული იყო კიდევ 13 სკამი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თბილისის სკოლა განთავსებული იყო 5-სართულიან შენობაში (საკლასო ოთახების რაოდენობა 36, მერხების რაოდენობა 484. იყო 23 პერსონალური კომპიუტერი და 20 ნეტბუქი.

ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ 2016 სასწავლო წლის ბოლოსთვის, სკოლაში ირიცხებოდა 342 მოსწავლე, აქედან თბილისში - 273, ზუგდიდში - 69, ჯამში პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 62-ს, აქედან ზუგდიდში მოღვაწეობდა 16 მასწავლებელი, თბილისში კი 46.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ფართი გამოიყენებოდა უნდა ყოფილიყო. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მხოლოდ კიბის უჯრედი და ნახევარი დერეფანი ჰქონდათ საერთო.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა უსაფრთხოების საკითხით, თუ იყო დარეგულირებული, რადიოს თანამშრომლებს არ ესარგებლათ სკოლის დერეფნით. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების კამერები იყო დამონტაჟებული.

ირინა აბულაძემ რეკომენდაციით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს გაემიჯნათ ფართი, გაეძლიერებინათ დაცვა და ეზრუნათ უსაფრთხოების საკითხებზე. ირინა ხანთაძემ დაამატა, რომ საყურადღებო გარემოება იყო, აქამდეც უნდა ეფიქრათ სკოლის წარმომადგენლებს ამაზე და ეჭვი გამოთქვა, შეიძლება მშობლებსაც არ ჰქონოდათ ეს ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ქ. თბილისში 425-ით და ქ. ზუგდიდში-75-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა: გიორგი გიგიბერიამ და ხათუნა ბარაბაძემ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204872174) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს ქ. თბილისში 425-ით, ქ. ზუგდიდში - 75-ით.

თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე გადამოწმებულიყო უსაფრთხოების მექანიზმები და ფართის გამიჯვნის საკითხი. რევაზ აფხაზავამ და ირინა ხანთაძემ სკოლას რჩევით მიმართეს, ეზრუნათ პარტნიორებთან ერთად სხვა ფართის მოძებნაზე და აღნიშნეს, რომ შემდგომი შემოწმებისას ამ საკითხზე უნდა გამახვილებულიყო ყურადღება. შესაბამისად, დაწესებულების ორივე ფართზე უნდა გადამოწმებულიყო მატერიალური რესურსი.



6. შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნინო ბალანჩივაძემ.

1. პროგრამულ ნაწილთან მიმართებით:

1.1 ინგლისური ენა ისწავლებოდა პირველი კლასიდან. მის გაძლიერებასთან დაკავშირებით გაზრდილი იყო საათების რაოდენობა კლასების მიხედვით. I-XII კლასებში მაგალითად - 5 საათის მოცულობით, რუსული ენა, როგორც მეორე უცხოური ენა ისწავლებოდა III-XII კლასებში. რაც შეუსაბამო იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, რომლის მიხედვითაც, მეორე უცხო ენის სწავლება დასაშვებია იყო მეხუთე კლასიდან.

სკოლის წარმომადგენლების თქმით, რუსულის სწავლებას ახორციელებდნენ მშობლების მოთხოვნით, თუმცა მეორე უცხო ენის სწავლების ნებართვა სამინისტროდან არ წარუდგენიათ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში, ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ახალი სასწავლო წლიდან რუსული სწავლება მესამე-მეოთხე კლასში ამოღებული იქნებოდა და მოყვანილი ესგ-ს მოთხოვნებთან. მოსწავლეებს კი შესთავაზებდნენ რუსულის სწავლას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არ იყო განსაზღვრული სპორტის რომელ სახეობებს სთავაზობდა სკოლა მოსწავლეებს. გასაუბრებით დადგინდა, რომ საბაზო-საშუალო საფეხურებზე სკოლა ატარებდა ფეხბურთისა და ჭადრაკის გაკვეთილებს, ხოლო დაწყებითში - ცურვას. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნით კი საჭირო იყო საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობებიდან მინიმუმ სამი შეეთავაზებინა სკოლას. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ვიზიტის დროსვე გამოიცა ბრძანება, და მესამე სახეობად შეირჩა ჭადრაკი.

ასევე, გამოცდების კუთხით იკვეთებოდა ორი უზუსტობა, გამოცდები ტარდებოდა დაწყებით საფეხურზეც და ყველა საფეხურზე - ორზე მეტ საგანში, რაც ასევე გასწორდა ვიზიტის დროს.

მან აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსის კუთხით, ხარვეზი არ დაფიქსირდა, ადამიანური რესურსის მიმართულებით კი ინგლისურის პედაგოგის კვალიფიკაცია მხოლოდ ბაკალავრის დიპლომით დასტურდებოდა, არც სქემაში იყო ჩართული, ექსპერტთა რეკომენდაციის შემდეგ, აღნიშნული მასწავლებელი ვიზიტის დროსვე გაათავისუფლეს ბრძანებით, მისი საათები გადანაწილდა სხვა მასწავლებელზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 556 ინდივიდუალური მერხი და 506 სკამი, ჰყავდა 40 მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში ირიცხებოდა 434 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა წინოსთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა წინოს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208142534) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.



7. შპს სკოლა-გიმნაზია პირველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 5-ჯერ შეიცვალეს ფართი არსებობის განმავლობაში, მუდმივად განვითარების პროცესში იყვნენ და ამჟამად უკვე ჰქონდათ საკუთარი შენობა. მან დაამატა, რომ 6 ეროვნებისა და 5 სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეები ჰყავდათ და სკოლა ტოლერანტული იყო.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ბალანჩივაძემ წარადგინა, მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში აღწერილი გარემოებები:

1. პროგრამულ ნაწილთან მიმართებით:

შემაჯამებელი დავალებების ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები იყო ზოგადი. მართალია, მერვე კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალების სათანადო ანალიზი იყო გაკეთებული და რეკომენდაციაც განსაზღვრული, მაგრამ შემაჯამებელი დავალებების სქემები არარელევანტური იყო, კერძოდ მეშვიდე, მერვე და მეთექვსმეტე კლასში ჩატარებულ სამ განსხვავებულ შემაჯამებელ დავალებას შეფასების ერთიდაიგივე სქემა ჰქონდა. აღნიშნული სქემით მოსწავლეთა ნაშრომების შეფასება ვერ მოხერხდებოდა. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ საგნობრივი სტანდარტების ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებზე, შემაჯამებელი დავალებების და შეფასების სქემების შემუშავების პრინციპებზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით, I-IV კლასებში მოსწავლის შეფასება ხდებოდა წინასწარ შემუშავებული პირობითი ფერების მიხედვით. მაგალითად, წითელი - მაღალ შეფასებას ასახავდა, ყვითელი - საშუალოს, მწვანე - საშუალოზე დაბალს, ლურჯი კი სუსტს. ექსპერტის თქმით, მსგავსი სქემა უკვე განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობდა, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ამასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლამ ცხადყო, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით 2015-2016 სასწავლო წლის ბოლოს განსაზღვრული იყო კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ჩატარების პროცედურები. სემესტრული გამოცდა ინიშნებოდა სწავლების ყველა საფეხურზე გარდა I-II კლასებისა, სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში, მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სემესტრის განმავლობაში მოსწავლის მიერ ათვისებული ცოდნის შემოწმება, ამიტომ ის სემესტრული ქულის დასადგენი ერთერთი კომპონენტი იყო. წლიური გამოცდა ინიშნებოდა მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში.

ექსპერტის თქმით, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, თუ სკოლას სურდა საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მას სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განესაზღვრა, რომელ

ი-18

კლასებში და რომელ საგნებში ჩაატარებდა გამოცდას და ექნებოდა თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე, როცა სკოლა მოსწავლეებს საგნის წლიური გამოცდის დანიშვნას ატყობინებდა გამოცდის დანიშვნიდან ორი კვირით ადრე. მან ისიც აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, წლიური გამოცდა შესაძლოა დანიშნულიყო მხოლოდ საბაზო/საშუალო საფეხურებზე, მეორე მხრივ კი პირველისა და მეორე კლასების გარდა ყველა კლასში იყო განსაზღვრული საგამოცდო საგნები. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლის დირექტორმა გამოსცა განკარგულება 2016-2017 სასწავლო წლის სასწავლო გეგმის პროექტის ცვლილების შესახებ, რომელშიც აღნიშნული ხარვეზი აღარ ფიქსირდებოდა.

ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისგან დაკომპლექტებული კლასი იყო, სხვა სკოლებში რომლებსაც არ იღებდნენ, ზოგი გაუქმებული სკოლებიდან გადმოვიდა ხოლო გიმნაზიამ შეუქმნა ყველა პირობა ამ ბავშვებს. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა 219 მერხი, 214 სკამი, ჰყავდა 27 პედაგოგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მიმართეს მასწავლებლის სახლს და სთხოვეს ტრენინგების ჩატარება ესგ-ს სწორად წაკითხვასთან დაკავშირებით.

ირინა აბულაძემ აღნიშნა, რომ ასეთი ტრენინგმოდული არ ჰქონდა მასწავლებლის სახლს და სკოლას შეეძლო კონსულტაცია პარტნიორ სკოლებთან გაერა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ექსპერტებმაც კვალიფიციური დახმარება გაუწიეს ვიზიტის დროს, მიუთითეს სასწავლო რესურსებზე და სკოლაში ჩატარდებოდა მასწავლებელთა ტრენინგები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-გიმნაზია პირველისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 219-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა-გიმნაზია პირველს (საიდენტიფიკაციო კოდი: 243571639) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 219-ით.



8. შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული. სკოლას ჰქონდა 201 ინდივიდუალური და 26 ორადგილიანი მერხი, ჯამში 227, ჰყავდა 43 მასწავლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 227-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204863077) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 227-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დასრულდა 21:30 საათზე.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე



მდივანი
რევაზ აფხაზავა

